

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა



- ეროვნული საგანმანათლებლო ქსელი
საქართველოს ყველა საჯარო სკოლა ჩართულია ერთიან საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელში და უზრუნველყოფილია ინტერნეტით, რაც მასწავლებელსა და მოსწავლეს საშუალებას აძლევს წარმართონ სასწავლო პროცესი როგორც შიდა, ასევე გარე ციფრული რესურსების გამოყენებით, გაცვალონ და გააზიარონ ინფორმაცია.
გაუმჯობესდა ინტერნეტის სიჩქარე საქართველოს საჯარო სკოლებისათვის (გლობალური ინტერნეტი - 1Gb, ლოკალური - 1 Gb), მათ შორის საჯარო სკოლების 40%-ზე მეტთან კავშირი უზრუნველყოფილია მაღალ გამტარიანი ოპტიკური არხებით (სიჩქარე: 50 Mb).
დანარჩენი სკოლების შემთხვევაში, სადაც კავშირი უზრუნველყოფილია რადიო ტექნოლოგიით, გაიზარდა კავშირის სიჩქარე (1, 2 Mb).
- განხორციელდა სარეზერვო მონაცემთა ცენტრის (Data Center) ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები. ასევე, გაგრძელების, უწყვეტი კვების წყაროსა და სახანძრო სისტემების ინსტალაცია და ქსელური აპარატურის მონტაჟი. შექმნილ იქნა სასერვერო და მონაცემთა შემნახველი სისტემები. აღნიშნული სისტემების ინსტალაცია განხორციელდება 2017 წელს.
- განახლდა სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის პროგრამული კომპონენტები (სერვერული ინფრასტრუქტურის ვირტუალიზაციისა და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები, სერვერული ოპერაციული სისტემები), განხორციელდა კრიტიკული Web აპლიკაციების ინტეგრაცია უსაფრთხოების მართვის სისტემასთან, შედეგად მაქსიმალურადაა დაცული ვებგვერდები სხვადასხვა ტიპის კიბერ შემოტევებისაგან.
- წარმატებით განხორციელდა საკლასო ოთახებსა და კლას/კაბინეტებში ლოკალური ქსელის მოწყობის პილოტი სსიპ ქალაქ თბილისის #165 და #123 საჯარო სკოლაში. მომავალ წელს პროექტის ფარგლებში უსადენო ქსელით საშუალოდ 200-მდე საჯარო სკოლის აღიჭურვა იგეგმება, შედეგად ინტერნეტ და შიდა სერვისები ხელმისაწვდომი იქნება არა მხოლოდ სტაციონარული კომპიუტერებისათვის, არამედ ლეპტოპების, ტაბლეტებისა და სმარტფონებისთვისაც.
ასევე, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კომპანია მაიკროსოფტთან, რომლის ფარგლებშიც შიდა ლოკალური უსადენო ქსელი საქართველოს მასშტაბით 32 საჯარო სკოლაში მოეწყობა.
აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში შიდა ლოკალური უსადენო ქსელი მოეწყობა სსიპ ქალაქ თბილისის #175, #82 და სსიპ ქალაქ მცხეთის #1 საჯარო სკოლებში.
- მომხმარებელთა ფოსტის მოცულობის გაზრდისა და საფოსტო სერვისის გაუმჯობესების მიზნით დაიწყო სკოლების თანამშრომელთა/მასწავლებელთა ელექტრონული საფოსტო სისტემის ღრუბლოვანი ტექნოლოგიაზე (Office 365) გადატანა.
შედეგად მასწავლებლებისათვის გარდა ელ. ფოსტისა ხელმისაწვდომი იქნება Office 365-ის ისეთი სერვისები, როგორცაა OneDrive for Business, Skype for Business და SharePoint Online (ფაილების/ დოკუმენტების საცავი, კოლაბორაცია, საოფისე ფაილების ლაივ რედაქტირების შესაძლებლობა ბრაუზერიდან). ფაილების საცავის მოცულობა - 1 ტერაბაიტი; საფოსტო ყუთის მოცულობა - 50 გიგაბაიტი;
- განათლების სისტემაში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, მართვის სისტემამ წარმატებით უზრუნველყო სხვადასხვა პროექტის ფარგლებში

შესასყიდი კომპიუტერული ტექნიკის სპეციფიკაციების განსაზღვრა და საჭიროების შესაბამისად პროცესში ჩართული სუბიექტების კონსულტირება (ბუკი, კომპიუტერი წარჩინებულ მოსწავლეთათვის და ა.შ.)

- ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვის ფარგლებში განხორციელდა იუმს-ის გავრცელების სფეროს განსაზღვრა, შემუშავებულ იქნა აქტივების იდენტიფიცირების მეთოდოლოგია და დამხმარე პოლიტიკები/წესები (პაროლის უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნები და გამოყენების წესი, ელექტრონული ფოსტის მოხმარების, ინტერნეტ რესურსებზე წვდომისა და სოციალური მედიის გამოყენების წესები). საანგარიშო პერიოდში მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან შეთანხმდა გავრცელების სფეროსა და აქტივების იდენტიფიცირების მეთოდოლოგიის დოკუმენტები. აქტივების გამოვლენის მიზნით გაიმართა სამუშაო შეხვედრები აქტივების მფლობელებთან და სამსახურის უფროსებთან.
- განახლდა სატელეფონო ცენტრის ზარებისა და ოპერატორების მონიტორინგის, რეპორტირებისა და მართვის სისტემა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში IT მხარდაჭერის პროგრამული უზრუნველყოფისა და მასთან დაკავშირებული პროცესების/სერვისების მართვის სისტემის (Service-Desk) დანერგვის ფარგლებში განხორციელდა სამინისტროს IT და სამეურნეო სამსახურის დავალებებისა და ინციდენტების კლასიფიკაცია. შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციის არსებობის შემთხვევაში (აღნიშნული გულისხმობს სამინისტროს თანამშრომელთა მიერ სისტემით სარგებლობის წესს) განხორციელდება საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება თანამშრომელთათვის და აღნიშნულ სისტემაზე გადასვლა.

მართვის ელექტრონული სისტემების შექმნა/დანერგვა/განვითარება

პირველკლასელთა რეგისტრაცია

მართვის სისტემამ სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად უზრუნველყო პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაციის სისტემისა და რესურსების მოდიფიცირება. სისტემა ონლაინ რეჟიმში ითვალისწინებს, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და ბინადრობის მოწმობის არ მქონე პირების რეგისტრაციას.

ელექტრონული სისტემა საშუალებას იძლევა რეგისტრაციის პროცესი დაიყოს შინაარსობრივად განსხვავებულ ეტაპებად, დარეგისტრირებული მოსწავლეების შესახებ ინფორმაცია ავტომატურ რეჟიმში აისახოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) და დინამიურ რეჟიმში შეიცვალოს ინფორმაცია სკოლებში დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ. ასევე, განხორციელდეს პირველკლასელთა რეგისტრაციის თითოეულ ეტაპზე, დარეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების დადგენილ ვადებში წარდგენის მონიტორინგი.

პირველკლასელთა რეგისტრაცია სამ ეტაპად განხორციელდა, რა დროსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში 2016-2017 სასწავლო წლისათვის საჯარო სკოლებში დარეგისტრირებულ მოსწავლეთა ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 53542, ხოლო კერძო სკოლებში - 6356.

თითოეულ ეტაპზე, საჯარო სკოლებში დარეგისტრირებულ მოსწავლეთა რაოდენობა:

I ეტაპი - 18374 მოსწავლე;

II ეტაპი (საყოველთაო რეგისტრაცია) - 32150 მოსწავლე;

III ეტაპი - 3018 მოსწავლე;

მართვის სისტემის მიერ 2016-2017 სასწავლო წლისათვის, პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაციის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებები:

- საქართველოს მასშტაბით, საჯარო სკოლებიდან პირველკლასელთა ლიმიტების შესახებ ინფორმაციის ორგანიზება;
- პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაციის სისტემისა და რესურსების მოდიფიცირება;
- რეგისტრაციის სახელმძღვანელოს განახლება და სისტემის ტესტირება;
- პირველკლასელთა რეგისტრაციის თითოეულ ეტაპზე, დარეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების დადგენილ ვადებში წარდგენის მონიტორინგი.

eFlow - ელექტრონული დოკუმენტბრუნვა

განათლების სისტემაში, ავტომატიზირებული საქმისწარმოების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, მართვის სისტემამ განახორციელა დოკუმენტბრუნვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში (eFlow) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების/სსიპ-ების ჩართვა.

დოკუმენტბრუნვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში (eFlow), თითოეული სუბიექტის ჩართვის შემთხვევაში მართვის სისტემის მიერ განხორციელებული ღონისძიებები:

- ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა;
- თანამშრომელთა რეგისტრაცია;
- ავტორიზებული თანამშრომლებისათვის, სისტემაში არსებულ ინფორმაციაზე წვდომის შესაბამისი უფლებების ორგანიზება;
- სისტემასთან წვდომის უზრუნველსაყოფად, Emis-ის მონაცემთა ცენტრსა და კონკრეტულ სუბიექტს შორის დაცული, VPN კავშირის ორგანიზება.

eSchool - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარების ფარგლებში განხორციელდა სისტემაში არსებული გარკვეული მოდულების მოდიფიცირება, ახალი მოდულების დეველოპმენტი და მათი სისტემაში ინტეგრაციის უზრუნველყოფა, კერძოდ:

მართვის სისტემამ სკოლების სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგების შეჭამებისა და გამარჯვებულ წევრთა რეგისტრაციის პროცესების ავტომატიზაციის მიზნით, უზრუნველყო შესაბამისი მოდულის შემუშავება და მისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) ინტეგრაცია.

აღნიშნული მოდული ითვალისწინებს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატთა ელექტრონულ რეგისტრაციას, არჩევნების შედეგების ელექტრონულ შეჯამებას, გამარჯვებულ კანდიდატთა ავტომატურ გადანიშნულებას და მათი უფლებამოსილების ელექტრონულ რეგისტრაციას. ასევე, აღნიშნული მოდულის მეშვეობით საჯარო სკოლებს გააჩნიათ თავიანთ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაზე ხედვა და აქვთ შესაძლებლობა ელექტრონულად ასახონ წევრთა შემადგენლობაში შესაბამისი ცვლილებები. 2016 წლის 10 ივნისს სულ 2050 საჯარო სკოლაში გაიმართა სამეურვეო საბჭოს არჩევნები, საიდანაც 2039 საჯარო სკოლაში აირჩა და შედგა უფლებამოსილი სამეურვეო საბჭო, 6 საჯარო სკოლაში არჩეულ წევრთა არასაკამრისობის გამო ვერ შედგა უფლებამოსილი საბჭო, ხოლო 5 საჯარო სკოლაში არ ჩატარდა ან გაბათილდა სამეურვეო საბჭოს არჩევნები.

სპეციალური მოდულები იქნა ასევე შემუშავებული მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლების მასწავლებელთა დანამატის აღრიცხვისა და სსსმ მოსწავლეების სხვადასხვა გავრცელებული დარღვევების მიხედვით იდენტიფიცირების უზრუნველსაყოფად.

საანგარიშო პერიოდში ასევე, განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) შემადგენელი სხვადასხვა მოდულების მოდიფიცირება, რომელთა საშუალებითაც წარმატებით განხორციელდა/ხორციელდება:

- პირველკლასელთა ლიმიტების შესახებ ინფორმაციის ორგანიზება;
- სახელმძღვანელოების აღრიცხვა/ვარგისიანობის შეფასება, ორგანიზება სკოლების საჭიროებისა და არსებული ნაშთების გათვალისწინებით;
- საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის, სქემით განსაზღვრული სტატუსის დანამატის ოდენობის გამოთვლა და დადგენილი ვადების/ფორმის შესაბამისად მონაცემების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგენის ორგანიზება;
- 2011-2014 წლებში სქემაში ჩართული მასწავლებლებისათვის, განხორციელებული აქტივობების შეფასების აპელაციის შედეგების ხელმისაწვდომობა.

ელექტრონული ჟურნალი

მართვის სისტემამ უზრუნველყო ელექტრონული ჟურნალის შემუშავება და მისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) ინტეგრაცია.

ელექტრონული ჟურნალი მოიცავს დასწრებისა და აკადემიური მოსწრების აღრიცხვის, ნიშნების ნახვის, კალკულაციისა და გამოცდების მოდულებს. აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ჟურნალის პირობებში მასწავლებლებს მხოლოდ გაცდენებისა და შეფასებების აღრიცხვა უწევთ, ნიშნების გამოთვლის პროცესი კი სრულად ავტომატიზირებულია.

სისტემის საშუალებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია და პედაგოგები შეძლებენ დროის სასურველი პერიოდის შესაბამისად იხილონ მოსწავლეთა დასწრებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია, გააკეთონ სრულყოფილი ანალიზი განსხვავებული პერიოდების შედეგების გზით და ა.შ.

ელექტრონული ჟურნალი ასევე, ითვალისწინებს სპეციალურ მოდულს მოსწავლის მშობლისთვის, რომელიც საშუალებას მისცემს მათ რეალურ დროში მიადევნონ თვალი შვილების შეფასებებს, გაცდენებს, იხილონ ინფორმაცია სახელმძღვანელოების, საგაკვეთილო განრიგის, დავალებების შესახებ, ჰქონდეთ კომუნიკაცია დამრიგებელთან, საგნის მასწავლებლებთან და ა.შ.

აღნიშნულ მოდულზე მუშაობა მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს, ხელმისაწვდომი კი ოდნავ მოგვიანებით, 2017 წლიდან გახდება. სურვილის შემთხვევაში მშობლებს ასევე შეეძლება ისარგებლონ მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისით.

„ელექტრონული ჟურნალის“ გაცნობისა და გამოყენების სწავლების მიზნით, თემატური ტრენინგები ჩატარდა თბილისის, ბათუმის, ქობულეთის, შუახევის, ხულოს, ხელვაჩაურის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, ქუთაისის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის, ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარელის, მცხეთის, თიანეთის, ამბროლაურის, ცაგერის, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ფოთის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისი, რუსთავის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, გორის, კასპის, ქარელის და ხაშურის რაიონების იმ საჯარო სკოლების მასწავლებლებს, რომლებშიც ხორციელდება ელექტრონული ჟურნალის დანერგვის პირველი ეტაპი.

ელექტრონული ჟურნალის ადმინისტრირების ტრენინგები ჩატარდათ ასევე, საპილოტე სკოლის დირექტორებს/ადმინისტრაციის თანამშრომლებს და საინფორმაციო მენეჯერებს.

2016-2017 სასწავლო წლიდან 359 საპილოტე სკოლაში მატერიალური ჟურნალის პარალელურად ელექტრონული ჟურნალის წარმოება დაიწყო.

ცხრილი #1:

#	რეგიონი	საპილოტე სკოლების რაოდენობა
1	სამცხე-ჯავახეთი	25
2	კახეთი	34
3	სამეგრელო-ზემო სვანეთი	39
4	ატარა	38
5	იმერეთი	58
6	ქვემო ქართლი	27
7	შიდა ქართლი	31
8	თბილისი	84
9	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2
10	მცხეთა-მთიანეთი	9
11	გურია	12

მასწავლებელთა შეფასების ელექტრონული სისტემა

მართვის სისტემამ უზრუნველყო მასწავლებელთა შეფასების ელექტრონული სისტემის დანერგვის მხარდაჭერა და შემდგომი განვითარება. აღნიშნული სისტემის საშუალებით წარმატებით განხორციელდა მოქმედ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში განაწილება და მათთვის სქემით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭება.

სისტემის საშუალებით, სქემაში განაწილებულმა მასწავლებლებმა განახორციელეს თვითშეფასების ელექტრონული კითხვარის შევსება, კრედიტქულების დაგროვების გეგმის ორგანიზება და შეფასების მიზნით, ელექტრონულ პროფესიულ საქალაქო საფარულში განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაციის განთავსება/გამოქვეყნება. თავის მხრივ შეფასების შიდა სასკოლო ჯგუფების მიერ უზრუნველყოფილ იქნა მასწავლებლების პროფესიულ საქალაქო საფარულში გამოქვეყნებული სავალდებულო აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობების

განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეფასება და შედეგების/კრედიტქულების სისტემაში ასახვა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #240 და #887 ბრძანებებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად, ელექტრონული სისტემის საშუალებით დამატებით განხორციელდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მოქმედ მასწავლებელთა რეგისტრაცია. ასევე, საჭიროების შესაბამისად მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა სათანადო ღონისძიებების ორგანიზება სქემაში იმ მოქმედ მასწავლებელთა დარეგისტრირების უზრუნველსაყოფად, რომელთაც დროებით შეჩერებული ქონდათ შრომითი ურთიერთობა და აღუდგათ მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ვადების შემდგომ.

საანგარიშო პერიოდში, შეფასების ელექტრონულ სისტემაში განხორციელდა ინფორმაციის იმპორტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #279 ბრძანებით განსაზღვრული პროგრამებისა და პროექტების შესახებ, რომლებშიც მონაწილეობაც მასწავლებელს ჩაეთვლება დამატებით საქმიანობაში. ასევე, მართვის სისტემის მიერ განხორციელდა თვითშეფასების განახლებული კითხვარის შემუშავება და მისი ინტეგრაცია მასწავლებელთა შეფასების ელექტრონულ სისტემაში.

მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო:

- პროგნოზირების მიზნით, 2016-2017 სასწავლო წლისთვის ბენეფიციარებისა და საჭირო სახელმძღვანელოების/დამხმარე ლიტერატურის სავარაუდო რაოდენობის შეფასება საგნების, სკოლების, კლასების/სექტორების და განაყოფების მიხედვით;
- სკოლების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchools) სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის ვარგისიანობის შესახებ ასახული მონაცემების დამუშავება და სახელმძღვანელოების ვარგისიანობის საბოლოო მაჩვენებლების ჩამოყალიბება სკოლების, სექტორების, კლასების, განაყოფების, საგნების და სახელმძღვანელოების დასახელებების მიხედვით;
- 2016-2017 სასწავლო წლისთვის შესაძენი სახელმძღვანელოების სავარაუდო რაოდენობის დადგენა საგნების, სკოლების, კლასების, სექტორების, განაყოფების მიხედვით და აღნიშნული მონაცემების მიწოდება სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და სხვა დაინტერესებული სუბიექტებისათვის;

eVet - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემის (eVet) განვითარების ფარგლებში განხორციელდა სისტემაში არსებული გარკვეული მოდულების მოდიფიცირება, ახალი მოდულების დეველოპმენტი და მათი სისტემაში ინტეგრაციის უზრუნველყოფა, რომელთა საშუალებითაც წარმატებით განხორციელდა/ხორციელდება:

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების ოდენობის განსაზღვრა;
- მოდულური პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სასწავლო სახარჯი მასალების აღრიცხვა;
- მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების განფასების უზრუნველსაყოფად საჭირო პროცესების ადმინისტრირება და ტექნიკური მხარდაჭერა;
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან ინფორმაციის გაცვლის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ელექტრონული სერვისების ორგანიზება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე სწავლის დაწყების, ასევე, საფეხურიდან საფეხურზე გადასვლის მსურველ აპლიკანტთა მიღების ფარგლებში, სპეციალური ანკეტა-კითხვარის საშუალებით სისტემაში ინფორმაციის ასახვის ორგანიზება და პროცესების ტექნიკური მხარდაჭერა;
- კურსდამთავრებულთა კვლევის (Tracer Study) ორგანიზება;
- თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის ფარგლებში, საქართველოს ბანკისა და თბილისის მერიის შესაბამისი სერვისით უზრუნველყოფა.

ღირექტორთა საბჭო - არჩევნების ელექტრონული სისტემა

მართვის სისტემამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სათათბირო წარმომადგენლობითი გაერთიანების, ღირექტორთა საბჭოს წევრთა შერჩევის ფარგლებში, უზრუნველყო ონლაინ არჩევნების სისტემის შემუშავება და არჩევნების პროცესის ტექნიკური მხარდაჭერა.

სისტემა ითვალისწინებს კანდიდატების რეგისტრაციის/წარდგენის შესაძლებლობას, ონლაინ რეჟიმში წარდგენილი კანდიდატების კენჭისყრას, გამარჯვებულთა გამოვლენას და შედეგების ავტომატურ გამოქვეყნებას ხმის მიცემის პროცედურის დასრულებიდან 24 საათის განმავლობაში.

ონლაინ არჩევნების შედეგად ღირექტორთა საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა 10 კატეგორიის სკოლის 32 წარმომადგენლით.

საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა

მართვის სისტემამ უზრუნველყო საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკური საინფორმაციო სისტემის (www.gis.emis.ge) შემუშავება, რომელზეც გამოქვეყნებულია სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების, რაიონისა და რეგიონის ტერიტორიაში.

ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული სუბიექტისთვის.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ელექტრონული სისტემა (QMS)

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, უზრუნველყო საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ელექტრონული სისტემის შემუშავება.

სისტემის შექმნის მიზანს წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში მონაცემების შეგროვების/დამუშავების დროის შემცირება და ეფექტურობის გაზრდა.

სისტემა ითვალისწინებს პერსონალური ინფორმაციის, განაცხადების, თვითშეფასების სტანდარტების, ექსპერტთა ჯგუფებისა და საბჭოების მართვის კომპონენტებს. ასევე, ექსპერტების შეფასებებისა და კენჭისყრის პროცესების ავტომატიზაციას.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სისტემის (QMS) ტესტირება და დანერგვა განხორციელდება 2017 წელს.

eUni - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემა

მიმდინარე ეტაპზე სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის (eUni) შემუშავებას, რომლის მიზანია: გამარტივებული, ხელმისაწვდომი და ავტომატიზირებული ბიზნეს-პროცესების, ასევე, უსდ-ებსა და სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ-ებს შორის ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფა.

სერვისები/პროცესები:

- სტუდენტების რეესტრის წარმოება
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოება
- პროფესორ-მასწავლებლების რეესტრის წარმოება
- საგანმანათლებლო პროგრამების რეესტრის წარმოება
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოდული
- გრანტების აღრიცხვა და დარიცხვები
- სტუდენტების მობილობა
- გაცვლითი პროგრამები
- დოკუმენტების ელექტრონული არქივის წარმოება
- მომხმარებლების როლებისა და უფლებების მართვა
- ელექტრონული ანგარიშგება (რეპორტიინგი)

სასკოლო სასწავლო რესურსების გრიფირებისა და შეფასების ადმინისტრირების სისტემა

მიმდინარე ეტაპზე სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა სასკოლო სასწავლო რესურსების გრიფირებისა და შეფასების ელექტრონული სისტემის დეველოპინგზე მუშაობს.

სისტემის საშუალებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ელექტრონულად უზრუნველყოფს გრიფირების პროცესის ადმინისტრირებას.

კერძოდ სისტემის საშუალებით ელექტრონულად განხორციელდება:

- განმცხადებლის რეგისტრაცია და მომხმარებლის ანგარიშის შექმნა
- გრიფირების განაცხადის შევსება და წარდგენა
- შესარჩევი ერთეულების დამატება
- წარდგენილი განაცხადების განხილვა და ხარვეზის დადგენა
- სამინისტროს მიერ დაქირავებული ექსპერტ/რეცენზენტების რეგისტრაცია
- წარმოებაში მიღებული განაცხადების ექსპერტებზე განაწილება
- სახელმძღვანელოების შეფასება, პროცესის ადმინისტრირება

გამოცდების/კონკურსების ორგანიზება - ტექნიკური მხარდაჭერა და მონიტორინგი

XII კლასის სასწავლო პროგრამის ექსტერნის ფორმით დაძლევის მსურველ მოსწავლეთა ცენტრალიზებული გამოცდები

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო მე-12 კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის მსურველთათვის ცენტრალიზებული გამოცდების ორგანიზება.

პროგრამის ფარგლებში მართვის სისტემამ განახორციელა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის მოდიფიცირება, სკოლების მიერ წინასწარ წარმოდგენილი ტესტური დავალებებიდან სამინისტროს მიერ შერჩევის საფუძველზე შედგენილი კომბინირებული ტესტების შესაბამისი ელექტრონული ტესტის შექმნა და რეგისტრირებულ აპლიკანტთათვის ცენტრალიზებული გამოცდების უზრუნველყოფა სპეციალურად შემუშავებული პროგრამის მეშვეობით (იხ. ცხრილი #2).

ცხრილი #2:

#	რეგიონი	საგამოცდო ცენტრების რაოდენობა	ექსტერნების რაოდენობა
1	სამცხე-ჯავახეთი	6	52
2	კახეთი	9	95
3	სამეგრელო-ზემო სვანეთი	11	120
4	აჭარა	12	156
5	იმერეთი	14	125
6	ქვემო ქართლი	8	102
7	შიდა ქართლი	8	117
8	თბილისი	13	348
9	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	5	43
10	მცხეთა-მთიანეთი	3	33
11	გურია	3	19

ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 22 აპრილის #339 ბრძნებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად, განმეორებით ჩატარდა ექსტერნების ცენტრალიზებული გამოცდები.

შესაბამისად მართვის სისტემამ უზრუნველყო XII კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის მსურველთა ელექტრონული რეგისტრაციისა (25.04.2016 – 28.04.2016) და ტესტირების პროცესის ტექნიკური/ინფორმაციული მხარდაჭერა (5.05.2016 – 13.05.2016).

ექსტერნატის განმეორებითი ცენტრალიზებული გამოცდები 50 საჯარო სკოლაში ჩატარდა, ხოლო ბენეფიციართა რაოდენობა 323 შეადგინა.

CAT - სკოლის საათისათვის გამოსაშვები გამოცდები

მართვის სისტემა ახორციელებს სკოლის საატესტატო გამოსაშვები გამოცდების ტექნიკურ მხარდაჭერას, რომელიც თითოეული საგამოცდო ცენტრის შემთხვევაში გულისხმობს:

- კომპიუტერული ტექნიკისა და ლოკალური ქსელის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფას;
- ვიდეო კამერების მონტაჟსა და გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფას;
- ქსელური ინფრასტრუქტურისა და მასთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური აპარატურის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფას;
- შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციას;
- ინციდენტებზე ოპერატიულ რეაგირებასა და შემდგომ მონიტორინგს;
- ტექნიკური დახმარების ცენტრალიზებული ცხელი ხაზის (Help Desk) ორგანიზებას;

გამოსაშვები გამოცდებისათვის საგამოცდო ცენტრებად გამოიყენება საჯარო სკოლები (კომპიუტერული ლაბორატორიები), სადაც ზემოთაღწერილი ტექნიკური სამუშაოების განხორციელებას უზრუნველყოფენ მართვის სისტემის კომპიუტერული ტექნიკის მხარდაჭერის სპეციალისტები (იხ. ცხრილი #3, #4).

ცხრილი #3: CAT - საგამოცდო ცენტრები (XI კლასი)

#	რეგიონი	საგამოცდო ცენტრები (საჯარო სკოლა)	საგამოცდო ცენტრები (კერძო სკოლა)	სულ
1	აჭარა	128	25	153
2	გურია	50	4	54
3	თბილისი	180	94	274
4	იმერეთი	242	24	266
5	კახეთი	133	5	138
6	მცხეთა-მთიანეთი	45	1	46
7	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	30	1	31
8	სამეგრელო-ზემო სვანეთი	172	15	187
9	სამცხე-ჯავახეთი	99	2	101
10	ქვემო ქართლი	122	26	148
11	შიდა ქართლი	112	9	121

ცხრილი #4: CAT - საგამოცდო ცენტრები (XII კლასი)

#	რეგიონი	საგამოცდო ცენტრები (საბარო სკოლა)	საგამოცდო ცენტრები (კერძო სკოლა)	სულ
1	ატარა	128	24	152
2	გურია	50	4	54
3	თბილისი	180	93	273
4	იმერეთი	241	23	264
5	კახეთი	132	6	138
6	მცხეთა-მთიანეთი	43	2	45
7	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	30	1	31
8	სამეგრელო-ზემო სვანეთი	173	15	188
9	სამცხე-ჯავახეთი	100	2	102
10	ქვემო ქართლი	123	26	149
11	შიდა ქართლი	112	9	121

მართვის სისტემამ ასევე განახორციელა VI-IX და VIII-X კლასების მოსწავლეთათვის ორგანიზებული გამოცდების ტექნიკური მხარდაჭერა (იხ. ცხრილი #5, #6).

ცხრილი #5: საგამოცდო ცენტრები (VI-IX კლასი)

#	რეგიონი	საგამოცდო ცენტრები (საბარო სკოლა)	საგამოცდო ცენტრები (კერძო სკოლა)	სულ
1	იმერეთი	63	7	70
2	სამეგრელო-ზემო სვანეთი	62	8	70
3	კახეთი	28	1	29
4	ატარა	47	5	52
5	თბილისი	41	28	69
6	ქვემო ქართლი	34	5	39
7	შიდა ქართლი	19	2	21
8	სამცხე-ჯავახეთი	29	1	30
9	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	22	1	23
10	გურია	18	1	19
11	მცხეთა-მთიანეთი	13		13

ცხრილი #6: საგამოცდო ცენტრები (VIII-X კლასი)

#	რეგიონი	საგამოცდო ცენტრები
1	კახეთი	40
2	ქვემო ქართლი	30

ePIRLS - წიგნიერების საერთაშორისო კვლევა

მართვის სისტემამ განახორციელა PIRLS-ის, წიგნიერების საერთაშორისო კვლევის ტექნიკური მხარდაჭერა, რომელის მიზნია 9-10 წლის მოზარდებში წაკითხულის გააზრების უნარის შეფასება და წიგნიერების სწავლების ხელშესაწყობად შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება (იხ. ცხრილი #7).

ცხრილი #7: ePIRLS - საგამოცდო ცენტრები

#	რეგიონი	საგამოცდო ცენტრები
1	შიდა ქართლი	12
2	თბილისი	61
3	სამეგრელო-ზემო სვანეთი	18
4	ქვემო ქართლი	43
5	იმერეთი	18
6	მცხეთა-მთიანეთი	1
7	კახეთი	13
8	აჭარა	22
9	გურია	7
10	სამცხე-ჯავახეთი	3

პროფესიული განათლების მიღების მსურველთა ტესტირება

მართვის სისტემამ წარმატებით უზრუნველყო შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული, პროფესიული განათლების მიღების მსურველთა პროფესიული ტესტირების ტექნიკური მხარდაჭერა. ტესტირების მიზანია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველთა უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისობის დადგენა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აუცილებელ უნარებთან.

პროფესიული ტესტირებისთვის, წელიწადში ორჯერ – გაზაფხულზე და შემოდგომაზე, საგამოცდო ცენტრებად გამოიყენება საჯარო სკოლებისა და უნივერსიტეტების კომპიუტერული ლაბორატორიები, სადაც IT ინფრასტრუქტურის საგამოცდოდ მომზადებას მართვის სისტემის კომპიუტერული ტექნიკის მხარდაჭერის სპეციალისტები ახორციელებენ (იხ. ცხრილი #8).

ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად საფეხურებზე აპლიკანტთა განაწილების მიზნით, მართვის სისტემა აღნიშნული ტესტირების ფარგლებში უზრუნველყოფს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული რანჟირების დოკუმენტის იმპორტს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

ცხრილი #8: ტესტირება - საგამოცდო ცენტრები

#	რეგიონი	საგამოცდო ცენტრები (საგაზაფხულო ტესტირება)	საგამოცდო ცენტრები (საშემოდგომო ტესტირება)
1	თბილისი	9	16
2	აჭარა	2	13
3	გურია	1	1
4	სამეგრელო-ზემო სვანეთი	4	20
5	იმერეთი	15	41
6	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1	1
7	სამცხე-ჯავახეთი	4	4
8	შიდა ქართლი	2	4
9	კახეთი	4	7
10	მცხეთა-მთიანეთი	1	
11	ქვემო ქართლი	1	1

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა ელექტრონული რეგისტრაცია

მართვის სისტემამ უზრუნველყო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა ელექტრონული რეგისტრაცია.

აღნიშნული გულისხმობს:

- ელექტრონული რეგისტრაციის სისტემისა და რესურსების მოდიფიცირებას
- რეგისტრაციის სისტემის ფუნქციონალის გაცნობის/სწავლების მიზნით, ტრენინგების ორგანიზებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთათვის
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალურ პროგრამაში განთავსებული ინფორმაციის შესაბამისად ელექტრონული რეგისტრაციის მონაცემთა ბაზების ფორმირებას
- რეგისტრაციის პროცესის ტექნიკური მხარდაჭერასა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურებზე აპლიკანტების განაწილების მიზნით, დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ შექმნილი რანჟირების დოკუმენტის გადამოწმებისა და აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად სტუდენტის სტატუსის ცვლილების უზრუნველყოფას საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში

მართვის სისტემამ საანგარიშო პერიოდში ასევე წარმატებით უზრუნველყო:

- 📍 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სტუდენტების მობილობის პროგრამული უზრუნველყოფა და ტექნიკური მხარდაჭერა.
2016 წელს სტუდენტთა საგაზაფხულო და საშემოდგომო მობილობის ფარგლებში მობილობის მსურველ რეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობამ შეადგინა - 7178.
- 📍 მოსწავლეთა ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ტექნიკური მხარდაჭერა (საქართველოს მასშტაბით 1671 საგამოცდო ცენტრი).
- 📍 საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, აუდიტისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის პროფორიენტაციის სპეციალისტების შესარჩევი კონკურსის ფარგლებში ელექტრონული ტესტირების ორგანიზება და ჩატარება.

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზების განვითარება

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო:

- 📍 სრული ან/და საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება, რომლის საფუძველზეც სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ახორციელებს ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების გაცემას.

კერძოდ, ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში აისახა 34 547 (ოცდაათოთხმეტი ათას ხუთას

ორმოცდაშვიდი) სრული ზოგადი განათლების ატესტატის მფლობელის, 45 401 (ორმოცდახუთი ათას ოთხასერთი) საბაზო ზოგადი განათლების ატესტატისა და 9 486 (ცხრა ათას ოთხას ოთხმოცდაექვსი) ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატის მფლობელთა შესახებ ინფორმაცია.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში საბაზო ზოგადი განათლების ატესტატის, სრული ზოგადი განათლების ატესტატისა და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატის დუბლიკატის მოთხოვნის თაობაზე გადმოგზავნილი განაცხადებიდან დადასტურდა და სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაიცა 3 725 (სამიათას შვიდას ოცდახუთი) ცალი საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი, 3 671 (სამიათას ექვსას სამოცდათერთმეტი) ცალი სრული ზოგადი განათლების ატესტატი დუბლიკატი და 117 (ასრვიდმეტი) ცალი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატის დუბლიკატი. არასრულყოფილი დოკუმენტაციის არსებობის გამო, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის დუბლიკატის გაცემაზე უარი ეთქვა 637 (ექვსასოცდაჩვიდმეტი) განმცხადებელს.

- მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება იმ პირთა შესახებ, რომელთაც ეკუთვნით სახელობო განათლების სერტიფიკატის ან საშუალო პროფესიული განათლების დიპლომის დუბლიკატი;

2016 წლის განმავლობაში სახელობო განათლების სერტიფიკატისა და საშუალო პროფესიული განათლების დიპლომის დუბლიკატების განაცხადებთან დაკავშირებით განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ჩატარებული წარმოების ფარგლებში გაიცა 47 (ორმოცდაშვიდი) ცალი სახელობო განათლების სერტიფიკატისა და 167 (ასსამოცდაშვიდი) ცალი საშუალო პროფესიული განათლების დიპლომის დუბლიკატი. ხოლო უარი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის გაცემასთან დაკავშირებით ეთქვა 22 (ოცდაორი) განმცხადებელს; დაბეჭდილია და გასაცემად გამზადებული 12 (თორმეტი) ცალი სახელობო განათლების სერტიფიკატისა და 12 (თორმეტი) ცალი საშუალო პროფესიული განათლების დიპლომის დუბლიკატი.

- ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რექტორის წარმოება, სადაც ელექტრონულად აისახება საჯარო სკოლის დირექტორის/დირტორის მოვალეობის შემსრულებლების, სამეურვეო საბჭოს წევრების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და სსიპ-ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის უფლებამოსილებისა და უფლებამოსილების შეწყვეტის სარეგისტრაციო მონაცემები.
- მონაცემთა ელექტრონული ბაზის წარმოება, იმ პირთა შესახებ, რომელთაც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის, ნარკოტიკული საქმიანობის ხელშეწყობისათვის ან ნარკოტიკული საშუალების გასაღებისათვის ჩამოერთვათ პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე ვაუჩერის გაცემის მიზნით, სკოლების დაფინანსების ოდენობის განსაზღვრა და დადგენილი ვადების/ფორმის (იანვარი, მაისი, სექტემბერი) შესაბამისად აღნიშნულის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმირება;
- საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ამოქმედების შემდგომ, სქემით განსაზღვრული სტატუსის დანამატის ოდენობის გამოთვლა და დადგენილი ვადების/ფორმის (ყოველთვიურად) შესაბამისად მონაცემების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგენის ორგანიზება;
- ზოგადი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთა დაზღვევის პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციართა სიის მომზადება და დადგენილი ვადების/ფორმის (ყოველთვიურად) შესაბამისად ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოში წარდგენის ორგანიზება;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა კონტინგენტის პროგნოზული მაჩვენებლების მომზადება;
- ზოგადი და პროფესიული განათლების საგანმანათლებლო ინდიკატორების გამოთვლა; კერძოდ, მომზადდა საგანმანათლებლო ინდიკატორების ის ჯგუფი, რომელთა გამოთვლა არ ეფუძნება მოსახლეობის სტატისტიკას: სწავლის მიტოვების, კლასიდან კლასში გადასვლის მაჩვენებლები და სხვა. ასევე, შეფასდა მოსახლეობის სტატისტიკაზე დაფუძნებული ინდიკატორების მნიშვნელობები. განხილულია ინდიკატორების ორი ვარიანტი: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სამოქალაქო რეესტრის მონაცემების გამოყენებით.
- ზოგადი განათლების სტატისტიკური მონაცემების მომზადება საერთაშორისო/ეროვნული კვლევებისა და ოლიმპიადებისათვის;
კერძოდ:
 - განისაზღვრა სამიზნე პოპულაცია მოსწავლეების შეფასების საერთაშორისო კვლევისთვის (PISA 2017);
 - მომზადდა მონაცემები სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევისთვის (TALIS 2017);
 - მომზადდა ზოგადი და პროფესიული განათლების 2011-2016 წლების სტატისტიკა საქართველოს ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების მიხედვით;
 - მომზადდა მონაცემები ზოგადი განათლების მაჩვენებლების შესახებ გაეროს ბავშთა ფონდის (UNICEF) განათლების პროგრამისათვის;
 - ახალი, ასაშენებელი სკოლების ადგილმდებარეობის განსაზღვრის მიზნით, ჩატარდა მოსწავლეთა გეოგრაფიული განაწილების ცვლილების ანალიზი, გამოვლენდა ტერიტორიები, სადაც მოსწავლეთა რიცხოვნობის ზრდა მაღალია.
- სამოქალაქო რეესტრისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) მონაცემთა ბაზების შედარება 2008-2009 წელს

დაბადებული ბავშვების ჭრილში, რის შედეგადაც იდენტიფიცირებულ იქნა სასკოლო ასაკის შესაბამისი, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვები. 2016-2017 სასწავლო წლისათვის პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაციის ფარგლებში, იდენტიფიცირებულია 2009-2010 წელს დაბადებული, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვები.

ასევე, მართვის სისტემის მონაცემთა ბაზებში (eSchool) აისახება ინფორმაცია მოსწავლეთა მიერ სწავლის მიტოვების შესახებ, Unicef-ის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

- საბაზო და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა სიების მომზადება;
- პროფესიული განათლების სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება და დაინტერესებული პირებისათვის მიწოდების ორგანიზება;

საანგარიშო პერიოდში პროფესიული განათლების სტატისტიკური მონაცემები მზადდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სხვა დაინტერესებული სუბიექტების მოთხოვნების შესაბამისად. (სტატისტიკური მონაცემები პუბლიკაციისათვის საქართველოს პროფესიული განათლება 2013-2015 წლებში, 2013-2016 წლებში სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ დაწესებულებათა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა მიღების ანგარიშები და სხვა)

- შესაბამისი საკანონმდებლო დოკუმენტებით/მოთხოვნებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად, მთავრობის, სამინისტროების, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, სხვა სახელმწიფო, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის სტატისტიკური ანგარიშების მომზადებისა და შესაბამის ადრესატთან ელექტრონული ან ნაბეჭდი სახით წარდგენის ორგანიზება;

საანგარიშო პერიოდში სტატისტიკური მონაცემები მომზადდა საქართველოს პარლამენტის, სახალხო დამცველის, თბილისის მერიის, სამინისტროების და სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების და პარტნიორების მოთხოვნით. მნიშვნელოვნად გაიზარდა არასამათვარობო ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მომართვების რიცხვი საგანმანათლებლო სტატისტიკური მონაცემების მიწოდების მოთხოვნით.

პროფესიული განათლება

პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა წარმატებით ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლებასა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ორიენტირებული მალალკვალიფიკური სპეციალისტების მომზადებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

- ვებ ინტერფეისის დეველოპერი
- ვებ ინტერფეისის დიზაინერი
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი
- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი
- საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი

- სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)
- კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორი

2016 წელს, მართვის სისტემაში საგაბაფხულო მიღების ფარგლებში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობამ შეადგინა 138, ხოლო საშემოდგომო მიღების ფარგლებში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობამ - 232

ცხრილი #9: საგაბაფხულო მიღება

საგანმანათლებლო პროგრამა	ტიპი	საფეხური	სტუდენტთა რაოდენობა
ვებ ინტერფეისის დეველოპერი	მოდულური	III	39
ვებ ინტერფეისის დიზაინერი	მოდულური	III	12
ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	მოდულური	III	21
კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	მოდულური	V	27
საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი	მოდულური	III	11
სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)	მოდულური	IV	14
კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორი	საგნობრივი	IV	14

ცხრილი #10: საშემოდგომო მიღება

საგანმანათლებლო პროგრამა	ტიპი	საფეხური	სტუდენტთა რაოდენობა
ვებ ინტერფეისის დეველოპერი	მოდულური	III	49
ვებ ინტერფეისის დიზაინერი	მოდულური	III	24
ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	მოდულური	III	54
კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	მოდულური	V	41
საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი	მოდულური	III	26
სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)	მოდულური	IV	26
კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორი	საგნობრივი	IV	12

შენიშვნა: საგაბაფხულო მიღების ფარგლებში მართვის სისტემაში ჩარიცხულ სტუდენტთა შორის 9, ხოლო საშემოდგომო მიღების ფარგლებში 8 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტია.

2016 წელს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები წარმატებით დაასრულა 150 პროფესიულმა სტუდენტმა, ხოლო დასაქმების საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 85-90%.

ასევე, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საზოგადოებრივი კოლექტი სამომავლოდ გეგმავს პროგრამირების მიმართულებით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას.

- განახლდა კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირების CISCO CCNA R&S 5.0 არასაბიუჯეტო მოკლევადიანი გადამზადების პროგრამა და მომზადდა "ლინუქს სისტემების სპეციალისტის" პროგრამა, რომელიც შემუშავდა Cisco-ს ქსელური აკადემიის სასწავლო კურსის საფუძველზე. ასევე, კოლეჯის CISCO-ს აკადემიას მიენიჭა CISCO IT ESSENTIALS კურსის ტრენერთა გადამზადების უფლება;
- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან ურთიერთთანამშრომლობით განხორციელდა ტრენინგების ორგანიზება/ჩატარება პროფესიული კოლეჯების მასწავლებლებისთვის მოდულურ პროგრამებზე: კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი და ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა.
- მართვის სისტემამ უზრუნველყო შიდა სტუდენტური ოლიმპიადის ორგანიზება და ჩატარება სამ პროფესიულ პროგრამაზე: ვებ პროგრამირება, კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება და სამგანზომილებიანი გრაფიკა (3D MAX). ოლიმპიადის ჩატარების მიზანს სასწავლო პროცესის სტიმულირება, ნიჭიერი პროფესიული სტუდენტების გამოვლენა და წახალისება წარმოადგენს. 2016 წლის ოლიმპიადაში გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული სტუდენტები კომპიუტერული ტექნიკის/აქსესუარების სასაჩუქრე ვაუჩერებითა და სამახსოვრო სიგელებით დაჯილდოვდნენ.